პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ხუთშაბათი, 22 იანვარი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 16 (704) 1 და 2 კ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელ. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

## 9 იანვარი.

ძვირად დაუჯდა რუსეთის მუშათა კლასს თავისი გამარჯვება. თვითმპყრობელობას და ბურჟუაზიასთან ბრძოლაში ბევრი უბედურებანი და სამარცხებები იგემა.

არა ერთხელ და ორხელ მორწყულა მისი სისხლით ქალაქის ქუჩები. მეფის პოლიცია და ჯარი სასტიკად უმასპინძლდებოდა მუშების ყოველგვარ გამოსვლას, თუნდაც მშვიდობიანი ხასიათის ყოფილიყო. შავი რეაქციის ერთ ასეთ მხეცობათ უნდა ჩაითვალოს 9 იანვრის სისხლიანი ტრაღედია.

ეს იყო 1905 წელში. მაშინ მუშათა კლასი არ იყო შეგნებული და გათვითცნობიერებული როგორც დღეს არის. მას კიდევ სწამდა, რომ მეფე მას დაიცავდა და იხსნიდა კაპიტალისტების გაყლეფისაგან.

9 იანვარს მღვდელი გაპონის მეთაურობით პეტროგრადის პროლეტარიატი რიცხვით 200.000 კაცი საეკლესიო ბაირაღებით ხელში გაეშურა მეფის სასახლისაკენ, რათა ეთხოვა მისთვის დახმარება კაპიტალისტების წინაამდეგ.

მუშებს თან მიქონდათ სიტყვიერად მიმართვა ეგრედ წოდებული პეტიცია, სადაც ჩამოთვლილი იყო ყველა მათი პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნილებანი.

მუშები იმდენათ დარწმუნებული იყვნენ მეფის გულკეთილობაში, რომ თავის მშვიდობიან დემონსტრაციაზე თან წაიყოლიეს თავისი შვილები, ცოლები და დედებიც.

მაგრამ სულ მალე ისინი დარწმუნდენ წინააღმდეგში.

მეფემ მუშები არ მიიღო და წინ გადაუღობა ჯარი, რომელიც ტყვიით და მათრახების ცემით გაუმასპინძლდა უიარაღო მუშებს.

შავმა რეაქციამ ამ დღეს სიცოცხლეს გამოასალმა 2000 მუშა, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოითხოვდენ სამართლიანობას და ადამიანურ ცხოვრებას. და ასეთმა უმგვანო მოქცევამ გამოაღვიძა მუშათა კლასი. ამ დღეს პროლეტარიატს სამუდამოთ აეხილა თვალები და ის მიხვდა რომ მეფე და მისი შავი ამალა ისეთივე მტერი არის მისი, როგორც ბურჟუა—კაპიტალისტი.

ამიტომაც 9 იანვარს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამ დღეს მოხდა რუსეთის პროლეტარიატის საბოლოო გამოფხიზლება.

მან შეიგნო თავისი კლასობრივი ინტერესები. ამიერიდან მუშათა კლასმა გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა თვითმპყრობელობას და ხანგრძლივი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დაამხო ის და მასთან ერთად ბურჟუა-მემამულეების ბატონობა. იქ, სადაც დათარეშობდა შავი რეაქცია, მშრომელი ხალხის წურბლები, დღეს ფრიალებს წითელი დროშა და მშვიდობიან შრომას ეწევა ორი მოკავშირე მუშა და გლეხი, რომლებიც მტკიცედ იცავენ ოქტომბრის მონაპოვარს და მიდიან წინ თავისი ბელადის—ლენინის ნაჩვენები გზით.

## 9 იანვრის გაკვეთილი.

### უფრო განამტკიცეთ კავშირი.

1905 წ. 9 იანვარს (ახალი სტილით 22 იანვარი) ლენინგრადის მუშები ხატებით, ბაირაღებით და მეფის სურათებით ხელში, სრულიად დაიმედებულნი მიემართებოდენ მეფის სასახლისაკენ.

მათ უნდა გადაეცათ მეფისთვის თავისი დუხჭირი ცხოვრების შესახებ და გულუბრყვილოდ ფიქრობდენ, რომ მეფე იხსნიდა კაპიტალისტების ბატონობისაგან.

მეფე ჯარისკაცებით შეეგება მუშებს. მეფის სახელით, მუშების მშვიდობიანურ რიგებს, ჯარის კაცებმა ტყვიები დაუშინეს. ტყვიით მისალმების შემდეგ დახოცილი მუშები უსულოდ ეყარნენ თოვლზე, რომლებმაც ძირს დაანარცხეს და ფეხებით მოსთელეს სისხლით შეღებილი ხატები, ბაირაღები და მეფის სურათები.

ამ დღემ, რომელმაც მუშათა რიგებს ხელიდან გამოსტაცა ასეული მუშები, სამუდამოდ ჩაჰკლა მათში მეფისადმი უკანასკნელი რწმენა.

ეს იყო 19 წლის წინათ.

***

ამ ჟამად ზოგიერთ წითელ არმიელს შეიძლება კიდევაც გაუკვირდეს:

— როგორ თუ ჯარისკაცები—თვით მუშები და გლეხები ტყვიით უმასპინძლდებოდენ მშვიდობიან და შეუიარაღებელ თავისავე ძმებს, რომლებიც მოწიწებით და თაყვანის ცემით მიდიოდენ მეფესთან.

წითელ-არმიელებისათვის ეს გაუგებარი და წარმოუდგენელია, რადგან ის თვითონ არის მუშებისა და გლეხების დამცველი. საბჭოთა ხელისუფლება ემყარება მუშებისა და გლეხების კავშირს, ხოლო წითელ არმიელი კი იცავს და ამაგრებს ამ კავშირს.

კლუბებში, საღამოებზე, მიტინგებსა და აღლუმებზე—წითელ-არმიელი ყოველთვის მუშების გვერდითაა. წითელ-არმიელი მუდმივი და სასურველი სტუმარია ფაბრიკა—ქარხნებში, მუშა-ყაზარმაში. ეს ერთი ნათესაურად შეკავშირებული ოჯახია.

***

19 წლის წინად კი სხვანაირად იყო საქმე.

მეფის არმიის ჯარის კაცის სწავლებისა და აღზრდის საქმე გამოიხატებოდა შემდეგში: მას უნდა დაევიწყებია თავისი მუშურ—გლეხური ოჯახის შვილობა.

შორს თავის სამშობლოდან, ჯარის კაცს გამოამწყვდევდენ მიყრუებულ ყაზარმის ოთხ კედლებს შორის; მკაცრი მოპყრობით, ცემა-ტყეპისა და დედის გინებით უჩლუნგებდენ მას გონებას და ადამიანს აქცევდენ თავის მხეცურ სურვილების ასრულებელ უსულო მანქანად, რომელიც მზად იყო ტყვიით გამასპინძლებოდა თავის მშობელ მამას, ძმას. ჯარისკაცი ხდებოდა „სამშობლოს, მეფისა და სარწმუნოებას“ დამცველი.

ასე იყო მაშინ, მაგრამ ასე არ არის ეხლა.

ამხ. ლენინისა და კომუნისტების ხელმძღვანელობით, მუშებმა და გლეხებმა დაამხეს თვითმპყრობელობა და ბურჟუაზიული წესწყობილება.

დღეს უკვე წითელი არმია არ არის დაცილებული მუშებსა და გლეხებისაგან ყაზარმის ყრუ კედლებით.

მუშა, გლეხი და წითელი არმიელი მთლიანი ოჯახია, რომელსაც ერთი საერთო ამოცანა აქვს: საბჭოთა ქვეყნის დაცვა, მშვიდობიანობა და შრომა. მუშებისა და გლეხებს შორის კავშირის განმტკიცება და მეურნეობის აღორძინება.

დღეს, ვიგონებთ რა 9 იანვრის სისხლიან გაკვეთილს, წითელი არმია, ლენინის ანდერძების ერთგული დამცველი ფიცს დასდებს, რომ ის უფრო განამტკიცებს თავის მჭიდრო კავშირს მუშებსა და გლეხების ფართო მასებთან.

ნ. ხ.

## ლენინის გარდაცვალების წლის თავზე.

### ჩუან-ცზო-ლინის დეპეშა.

საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა მიიღო ჩჟან-ცზოლინისაგან შემდეგი დეპეშა:

თქვენო აღმატებულებავ! 21 იანვარს სრულდება წლის თავი მისი აღმატებულების—ბატონ ლენინის გარდაცვალების დღიდან. თუმცა ფიზიკურად მან განისვენა საუკუნოდ, მაგრამ მის მიერ შექმნილი დიადი საქმე არას დროს არ დაიღუპება. უეჭველია თქვენი პატივცემული ქვეყნის მოქალაქეები სამაგიეროდ შეინახავენ მისდამი პატივისცემას.

მე—გუბერნატორი ჩინეთის სამი აღმოსავლეთის პროვინციისა და ჩინეთის ხალხის წარმომადგენელი—გამოვსთქვამ ჩემს ღრმა პატივისცემას უკვდავ გმირისადმი.

თქვენი ერთგული ჩჟან ცზო-ლინი.

### ამხ. ჩიჩერინის პასუხი.

ზემო მოყვანილ დეპეშის პასუხად ჩიჩერინმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ჩჟან-ცზო-ლინს: „საბჭოთა კავშირის ერები, რომელთაც მე გადავცემ თქვენ მიერ გამოგზავნილ თანაგრძნობის დეპეშას დიდი ბელადის—ლენინის დაკარგვის გამო, მტკიცედ იცავენ მის ანდერძებს მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარების შესახებ აღმოსავლეთის და განსაკუთრებით ჩინეთის ხალხთან.

ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თქვენი აღმატებულების დეპეშამ.

თქვენი თანაგრძნობა დამამტკიცებელია იმ დიდი მეგობრობის, რომელიც აერთებს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს. ეს მეგობრობა თანდათან გაძლიერდება. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხი ერთად დიდ ძალას წარმოადგენენ ერთა თვითგამორკვევისთვის ბრძოლაში.

## იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა.

ხელმოწერილ იქნა იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება.



ამხ. კარახანი. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წარმომადგენელი ჩინეთში, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა იაპონიასთან.

## რუსეთის ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა ბიუროს თათბირი.

საფრანგეთში შესდგა რუსეთის ფასიან ქაღალდის მეპატრონეთა ბიუროს სხდომა.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა შარლ ფილიპმა თათბირის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბიუროს წევრებსა და სენატორ დემონზის შორის.

## საფრანგეთის კომპარტიის ყრილობაზე.

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობის სხდომაზე 18 იანვარს გამოვიდა აღმასკომის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ პარტიის წმენდა დამთავრებულია. საჭიროა პარტიის ორგანიზაცია ფაბრიკა-ქარხნების უჯრედების საფუძვლებზე. საჭიროა შექმნილ იქნას კავშირი ახალშენების მუშათა და გლეხთა მასებთან.

შემდეგ ილაპარაკეს გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიის და შვეიცარიის დელეგატებმა.

## ახალი უთანხმოება ანუ ხრიკები.

გაზეთების ცნობით, ერიომ კრასინის მიღების დროს პროტესტი განაცხადა რიკოვის განცხადების წინააღმდეგ ვალების საკითხში. ამას გარდა ერიო შეეხო ერბეტისაგან მიღებულ დეპეშას; ვითომც ლიტვინოვს განეცხადებიოს მისთვის, რომ საბჭოთა კავშირი ედავებოდა ვალების გადახდის აუცილებლობაზე, მაგრამ არას დროს არ უთქვამს მას, რომ ვალს სრულებით არ გადავიხდით. ერიომ განაცხადა კრასინთან, რომ თუ საბჭოთა კავშირი გაჰყვება ასეთ ტაქტიკის, მოლაპარაკების საქმე გართულდებაო.

## კონფერენციის ფარდებს იქით.

პოლონურ გაზეთში მოთავსებული იყო კორესპონდენცია ჰელსინგფორსიდან, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოლაპარაკება ბალტიის სახელმწიფოების ანტი-საბჭოთა ბლოკის შესახებ სწარმოებდა კონფერენციის გარეშე.

გაზეთები ათავსებენ ოკშინსკის საუბარს ჰელსინგფორსის კორესპონდენტთან.

საუბრიდან შეიძლება გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ ოკშინსკის არ უკისრია არავითარი სამხედრო გეგმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

## მოსკოვის გუბერნიის გლეხთა დელეგაცია.

გუშინ 21 იანვარს მოსკოვში ჩავიდა მოსკოვის გუბერნიის გლეხთა დელეგაცია რიცხვით 500 კაცამდე. დელეგატები არჩეულ არიან მოწინავე გლეხობისაგან, რომლებიც ახლოს სდგანან საბჭოთა ხელისუფლებასთან.

გლეხთა დელეგაციას შეხვდა მოსკოვის მუშათა ორგანიზაციები.

## საკავშირო ფინანსთა კომისარიატის თათბირი მასწავლებელთა ყრილობის დელეგატებთან.

19 იანვარს გაიმართა საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატის თათბირი მასწავლებელთა ყრილობის დელეგატებთან.

რამოდენიმე საკითხის განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც თათბირი სთხოვს ფინანსთა კომისარიატს მიიღოს მხედველობაში მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის დარგში ცვლილების შეტანა, რაიც გამოიხატება საგადასახადო სისტემის გამარტივებაში და გლეხებზე გადასახადის შემსუბუქებაში შემოსავლის მიხედვით.

იღებს რა მხედველობაში, რომ სახელმწიფო სესხის შემოსავალი მოხმარდება სასოფლო მეურნეობის აღდგენას, თათბირი საჭიროდ სთვლის გაუწიოს მთავრობას ამ მხრივ ყოველგვარი დახმარება, რაიც გამოიხატება შემდეგში:

აუხსნან გლეხებს სახელმწიფო სესხის მნიშვნელობა. გაუწიონ დახმარება სესხის მეპატრონე გლეხებს, აუხსნან მათ, თუ როგორ გამოიყენონ სესხის სარგებელი და როგორ მიიღონ მომგებიანი პროცენტები და სხვა.

## პოლონეთის მთავრობამ გაალატაკა თავისი ხალხი.

სეიმის კომისიაში გრაბსკიმ გააკეთა მოხსენება ფინანსიურ მდგომარეობაზე. მან განაცხადა, რომ მათ მიერ გატარებულმა რეფორმამ გააჯანსაღა არა სამეურნეო ცხოვრება, არამედ მხოლოდ ვალიუტა.

გრაბსკის პოლიტიკა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა მიხალსკიმ. მან გადაშალა საშინელი სურათი პოლონეთის მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის მდგომარეობისა.

მიხალსკიმ განაცხადა: „ასეთი სიღატაკე, როგორც დღეს, პოლონეთის სოფელს არ ახსოვს.

წვრილ მიწის მფლობელებს არ აქვთ არა მარტო სათესლე ხორბალი, არამედ საჭმელადაც არ ყოფნის მათ ახალ მოსავლამდი.

### რასაკვირველია უარყოფენ.

#### პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტოს ჩმახვა.

პოლონეთის გაზეთებში მოთავსებული იყო როსტას განცხადება პოლონეთის შეიარაღებულ რაზმის თავდასხმის შესახებ იამპოლზე (საბჭოთა კავშირის საზღვარზე).

პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტო უარყოფს პოლონელების მონაწილეობას თავდასხმაზე და მოჰყავს თავისი ცნობა.

თითქოს ღამით, 4-დან 5 იანვარს ბანდიტების რაზმის, აჯანყებულ „გეპეუს“ წითელ-არმიელებთან ერთად თავს დაესხა „გეპეუს“ განყოფილებას იამპოლში გაძარცვის მიზნით.

სააგენტო ირწმუნება, რომ ბანდიტები არ სცდილან გადასულიყვნენ პოლონეთის საზღვრებზეო.

## გერმანიის ახალი მთავრობის დეკლარაცია.

### მარქსის გზით.

გერმანიის რეიხსკანცლერმა ლიუტერმა წარუდგინა რეიხსტაგს მის მიერ შედგენილი კაბინეტი და გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია.

ახალ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ახალი მთავრობა გაჰყვება მარქსის კაბინეტის მიერ აღებულ გეზს ქვეყნის გაჯანსაღებისა და აღორძინების გზაზე. მთავრობა ეყრდნობა რესპუბლიკანურ კონსტიტუციას და ბრძოლას გაუწევს ყოველგვარ ცდებს კონსტიტუციის შეცვლისთვის.

#### საგარეო პოლიტიკის შესახებ.

საგარეო პოლიტიკის შესახებ დეკლარაციაში ნათქვამია რომ გერმანიის მთავრობა სცდილობს საერთო მშვიდობიანობის განმტკიცებას ყველა ერებთან. კანონები, რომლებიც დაკავშირებული არიან დოუესის გეგმის გატარებასთან ლოიალურად, უნდა გატარდეს; ამასთან გერმანია მოელის ასეთსავე ლოიალობას სხვების მხრივაც.

## მეფის პასუხი



9 იანვარს საზამთრო სასახლის წინ, სადაც ტყვიით გაუმასპინძლდა მეფის ჯალათები მეფესთან პურ-მარილით მისულ ხალხს.

#### კელნის ზონის შესახებ.

გერმანიის პოლიტიკური და ზნეობრივი სიმშვიდე დაჩრდილა კელნის ზონის ოკუპაციის გაგრძელებამ, რაიც წარმოადგენს ვერსალის ხელშეკრულების დარღვევას და აშკარად ეწინააღმდეგება ლონდონის შეთანხმებას. მთავრობა შეეცდება იხმაროს ყოველგვარი ღონისძიება კელნის ზონის საჩქაროდ დაცლის საქმეში.

#### ერთა ლიგაში შესვლის საკითხი.

საკითხში გერმანიის შესვლის შესახებ ერთა ლიგაში, მთავრობა დაეყრდნობა მარქსის მიერ დაწყებულ ხაზს.

#### საშინაო პოლიტიკა.

საშინაო პოლიტიკის შესახებ დეკლარაციაში ნათქვამია: მკაცრი კანონები სამუშაო დღის შესახებ შეცვლილ უნდა იქმნას, რამდენადაც ამის ნებას მოგვცემს „ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების“ ამოცანა.

## გაასამართლეთ მუშათა კლასის გამცემლები.

### კომფრაქციის რეზოლიუცია ებერტის საქმეზე.

პრუსიის ლანდტაგის კომფრაქციამ გამოიტანა რეზოლიუცია ებერტის პროცესის შესახებ.

რეზოლიუცია მოითხოვს განხილულ იქნას პრუსიის პრემიერი ბრაუნის და პრუსიის მთავრობის წევრების მოქმედება ებერტისთვის ნდობის გამოცხადების გამო.

რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ 1918 წლის გაფიცვები სამხედრო საწყობებში სახელმწიფო ღალატი კი არ ყოფილა, არამედ ის იყო ცდები საზიზღარი ომის შეწყვეტის მიზნით, რომელმაც მოუტანა ხალხს უბედურება.

„ებერტი და მისი მომხრეები—ნათქვამია რეზოლიუციაში—დადგენ ბურჟუაზიის მხარეზე და ჩაიდინეს არა სახელმწიფო ღალატი, არამედ ღალატი მუშათა მიმართ.

კომფრაქცია დარწმუნებულია, რომ ებერტმა და მისმა დამქაშებმა ჩაუგდეს ხელში ბურჟუაზიულ „მართლმსაჯულებას“ როზა ლიუკსემბურგი და მრავალი ათასი სხვა ამხანაგები“.

## ლიუტერის კაბინეტის შემადგენლობა.

ლიუტერის კაბინეტი საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ფინანსთა მინისტრად დანიშნულია ფონშლიბერი—იმპერიალისტური დროის მემარჯვენე მოხელე. გზათა მინისტრად დანიშნულია ასეთივე მოხელე კრონე.

## ამხ. რაკოვსკის დეპეშა მოლდავიის რესპუბლიკას.

მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკის რევკომმა მიიღო ამხ. რაკოვსკისაგან დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„დიდია ამოცანა, რომელიც წილად ხვდა მოლდავიის რესპუბლიკას, როგორც საბჭოთა კავშირის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრის ახალ ფრონტს. ეს ისტორიული ამოცანა გაკისრებთ თქვენ დიდ პასუხისმგებლობას. თქვენი რესპუბლიკა მაგალითი უნდა იყოს ყოველ მხრივ სხვა ერებისათვის და გახდეს კომუნიზმის გამათავისუფლებელ იდეების გამტარებელი“.

## ლენინი და მუშების და გლეხების კავშირი.

ამხ. ლენინმა ჩვენს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას უანდერძა მტკიცედ დაიცვას მუშების და გლეხების კავშირი და ყოველ მხრივ შეუწყოს ხელი მის გაძლიერებას და განმტკიცებას.

ლენინი დღეიდან თავისი მოღვაწეობის დაწყებისა მუდამ დიდ ყურადღებას აძლევდა გლეხთა საკითხს. არავის ისე კარგად არ ესმოდა გლეხთა მასების გაჭირვებანი და ტკივილები, როგორც მას. გლეხობაში ის ხედავდა პროლეტარიატის ისტორიულ მოკავშირეს. ამიტომ ის ყოველთვის მოუწოდებდა პარტიას, პროლეტარიატს და თვით გლეხობას არასდროს არ გაწყვეტილიყო ეს კავშირი.

ლენინს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ პროლეტარიატის გამარჯვება შეუძლებელია თუ მრავალ მილიონიანი გლეხობა არ გაყვა მას, არ გახდა მისი ერთგული მოკავშირე ბურჟუაზიის და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სწორედ იმიტომ გაიმარჯვა რუსეთის პროლეტარიატმა ოქტომბერში, რომ მას მხარი დაუჭირა გლეხობამ.

ამავე დროს ლენინი ამბობდა, რომ ვერც გლეხობა დააღწევს თავს მონობას, მემამულეს ბატონობას, სიბნელეს და სიღატაკეს თუ არ დაუკავშირდა პროლეტარიატს, თუ არ გაჰყვა ამ უკანასკნელს.

მაგრამ, როდესაც ლენინი ლაპარაკობდა ამ კავშირზე ის ყოველთვის ხაზს უსვამდა პროლეტარიატის გეგემონობას. რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ პროლეტარიატი არის გლეხობის ხელმძღვანელი და მასწავლებელი, როგორც უფრო მოწინავე და ორგანიზაციულად დარაზმული კლასი. ეს ხელმძღვანელობა გამოიხატება იმაში, რომ სოფლის მეურნეობა თანდათანობით კერძო საკუთრების საფუძვლებიდან გადავიდეს სოციალისტურ, კოლექტიურ ნიადაგზე.

„პროლეტარიატმა უნდა აღზარდოს და ასწავლოს გლეხობასო“—სთქვა ლენინმა.

მაგრამ ეს უნდა გააკეთოს მან არა უცბად, ერთბაშად, არამედ თანდათანობით.

ცხადია პროლეტარიატი ამ ხელმძღვანელობას ანხორციელებს თავისი ავანგარდის—კომუნისტური პარტიის საშუალებით.

მუშების და გლეხების კავშირის განმტკიცება და გაღრმავება წარმოადგენს არა მარტო ჩვენი საბჭოთა კავშირის უდიდეს ამოცანას, არამედ ის მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის ლოზუნგია.

დღეს კაპიტალისტურ სამეფოს ებრძვის არა მარტო ევროპის და ამერიკის პროლეტარიატი, არამედ კოლონიების ერები, რომელთა სოციალური შემადგენლობის უმრავლესობას გლეხობა წარმოადგენს.

ამიტომ ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანას შეადგენს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ამ კავშირის გაძლიერებას.

მაშინ უზრუნველყოფილი იქნება საბჭოთა წესწყობილების სიმტკიცე და სოციალიზმის გამარჯვების საქმე.

—ე.

## კომუნისტების პროცესი.

ვიურტემბერგის სასამართლომ, რომელიც არჩევდა ვიურტემბერგის კომუნისტების საქმეს, მთავარი ბრალდებული მარშალი დამნაშავეთ სცნო სახელმწიფო ღალატის ჩადენაში და იმ კანონის დარღვევაში, რომელიც შეეხება ასაფეთქებელი მასალების შენახვას; სასამართლომ მას მიუსაჯა 6 ნახ. წლის ციხე. დანარჩენ 12 ბრალდებულს მიუსაჯა დაპატიმრება 8 თვიდან 2 ნახ. წლამდი.

## ბელორუსიის პროფკავშირთა ეროვნული პოლიტიკა.

ბელორუსიის პროფკავშირთა საბჭომ შეიმუშავა ღონისძიებანი პროფკავშირთა ეროვნული პოლიტიკის ჩატარების საქმეში.

## ეროვნულ ნაწილების შედგენა ყირგიზეთში.

დაწყებულ იქნა მოსამზადებელი მუშაობა ყირგიზეთის წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შესადგენად.

როსტას კორესპოდენტთან საუბარში ყირგიზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა განაცხადა: ყირგიზეთი წარმოადგენს კარს ევროპასა და აზიას შორის.

ყირგიზები უნდა იყვნენ აზიის რევოლიუციონური მოძრაობის წინა რიგებში; იმათ მაგალითი უნდა უჩვენონ აზიის ხალხებს რევოლიუციონურ აღმშენებლობაში. ყირგიზეთი უნდა გახდეს აზიის სამაგალითო საბჭოთა რესპუბლიკად.



## მოგვეცით აბანო.

მესამე ლეგიონი აგერ კარგა ხანია, რაც ჩამოვიდა ქ. სენაკიდან. მგზავრობამ, ხიზაკის გაზიდვ გადმოზიდვამ და სხვა გაჭუჭყიანა არმიელები და საჭირო იყო აბანოში წასვლა, გასუფთავება. მიუხედავად ამისა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ჯერ აბანოში არ ვყოფილვართ. ლეგიონმა მოითხოვა არმიელებისათვის აბანო, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. საჭიროა გარნიზონის სან-ნაწილის უფროსი მიიღებდეს ზომებს და დაგვითმობდეს აბანოს. ასეთ მდგომარეობაში არმიელების გაჩერება შეუძლებელია. მოგვეცით აბანო.

სამხკორი. ტატიანელი.

## საბიბლიოთეკო წრე.

ოთხშაბათს 14 იანვარს პირველ ლეგიონის ბიბლიოთეკაში შესდგა საბიბლიოთეკო წრის მორიგი მეცადინეობა, მეცადინეობას დაესწრენ ყველა ასეულების ბიბლიოთეკრები.

მეცადინეობის დაწყებამდე მოეწყო საუბარი ლენინის კვირეულის ჩატარების შესახებ ასეულებში, კრებამ დაადგინა რათა ყოველ დღეს ტარდებოდეს წითელ კუთხეებში ხმამაღალი კითხვები ლენინის ბიოგრაფიიდან და მისი ცხოვრებიდან.

კითხვების დროს უნდა მიექცეს ყურადღება როგორც თვით ლენინის ნაწერებს, ისე იმ წიგნების გავრცელებას, რომელიც დაწერილია ლენინზე.

კრებამ დაადგინა აგრეთვე რათა იმ დღისათვის იქნეს გამოცემული სპეციალური საბიბლიოთეკო გაზეთი. ამის შემდეგ მოვისმინეთ ამხ. ქ. ქავთარაძის მოხსენება ათწილადი კლასიფიკაციის შესახებ.

მ. უფლისაშვილი.

## ჩვენი კოოპერაცია.
## 1-ლ არტ. ლეგიონის კოოპერატივი.

ჩვენი ლეგიონის კოოპერატივს არა აქვს დიდი ხნის ისტორია, თუმცა წინადაც გვქონდა კოოპერატივი, მაგრამ ის, ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას სხვა და სხვა მიზეზების გამო.

ამ უკანასკნელ ხანებში ვაზიანში ბანაკად დგომის დროს, და მის შემდეგ კოოპერატივი ადგა თავის მოწოდების სიმაღლეზე და სრულიად აკმაყოფილებს წითელ-არმიელთა და მეთაურთა მოთხოვნილებას.

პირველი და აუცილებელი მოთხოვნილების საქონელი ყოველთვის მოიპოება და მომხმარებელნიც თითქმის ყველანი სარგებლობენ კოოპერატივით ასე რომ არმიელების ფულები ჩარჩების ხელში იშვიათად გადავლენ.

კოოპერატივში თითქმის ყოველთვის გვაქვს ახალი პური.

კარგი იქნებოდა „ევკოგრუზი“ გახსნიდეს ჩვენი განყოფილებისათვის მოკლე ვადიანი სესხით ფართლის მოცემას—ამით კოოპერატივი კიდევ მეტ სიმპატიას მოიპოებდა თავის წევრებში.

გრ. ჩიჩუა.

## როგორ უნდა მოვსპოთ?
(მომარაგების საყურადღებოთ.)

თუმცა გასულ წელშიც ბევრი იყო, მაგრამ ამ ჟამად ყაზარმებში ძალზე გამრავლდენ ვირ-თაგვები, რომლებიც ისე მოშინაურდენ, რომ წ. მოლაშქრეებს ცხვირ-პირზე ახტებიან ღამ-ღამობით. ამასთან ერთად შეუძლებელი ხდება როგორც საწყობში, ისე საცხოვრებელ ბინებში სურსათ-სანოვაგის ისე შენახვა, რომ ვირთაგვებმა არ მონახონ, რასაც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, ავათმყოფობის გავრცელების მხრივ.

რამოდენიმე ნაწილთაგანმა ამის შესახებ უკვე აღნიშნეს აზ. წ. არმიელის ფურცლებზე, მაგრამ დღედმე არსაიდან შველა არ არის. რაშია საქმე?. ნუ თუ ასე გულგრილათ უნდა შევხვდეთ ამ ნაკლულევანებას? საჭიროა მოგვაწოდოთ ვირთაგვების საწინაღმდეგო მასალა და საჭირო დარიგებები.

ო. ხიბლელი.

## გაგვიხსნეს მეორე საფეხურის სკოლა.

ჩვენს მეხუთე ტერ-ლეგიონში თავიდანვე დაარსებული იქნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა. მეცადინეობა კარგად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ეხლაც. მაგრამ ცოტა ოდნავად მცოდნე არმიელები კი უყურადღებოთ ვიყავით დატოვებული. ამის შესახებ მივეცით განცხადება ლეგიონის სამხკომს, რომელმაც სათანადო შუამდგომლობა აღძრა და სპეციალურად ჩვენთვის დაარსებული იქნა მეორე საფეხურის სკოლა. ამ ჟამად სკოლაში სისტემატიურად სწარმოებს მეცადინეობა. მოსწავლე არმიელები მრავლად ესწრებიან. იმედი გვაქვს მეორე ხანში სათანადო განვითარებასა და ცოდნას შევიძენთ.

სამხკორი ველისციხელი.

## აჭარისტანის სამხედრო კომისარიატის გარემო.

აჭარისტანის სამხედრო კომისარიატში გასულ წლიდან თანამშრომლების ინიციატივით და სამხედრო კომისარის ხელმძღვანელობით მოეწყო ლენინის კუთხე, 1923 წელში აჭარ. სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები პოლიტიკური მეცადინეობას გადიოდენ ბათომის სამხედრო ლაზარეთის თანამშრომლებთან ერთად. შემდეგ პოლიტ გამოცდებიც სათანადოთ ჩააბარეს.

ამ ჟამად პოლიტ მეცადინეობა ჩვენთან არ სწარმოებს. ლენინის კუთხეში გამოდის კედლის გაზეთი „აჭარის მხედარი“-ს სახელწოდებით.

თუ წინად ამ კედლის გაზეთში თანამშრომლობდენ მხოლოდ რამდენიმე რედკოლეგიის წევრები, ამ ჟამად გაზეთმა შემოიკრიბა თანამშრომლების ფართო წრე. გაზეთს კავშირი აქვს ქ. ბათომში და აჭარისტანის ფარგლებში დაბინავებულ ნაწილებთან, ახალგაზრდა კომკავშირთან და რაიონების სამხედრო მაგიდებთან.

ჩვენს გაზეთში ხშირად თავსდება რაიონიდან გლეხების და ჯარის ყოფა-ცხოვრების შესახებ წერილები.

კედლის გაზეთი გამოდის ყოველ თვიურად. აჭარისტანის და ოზურგეთის შესაკრები პუნქტებში 1902 წელში დაბად. ჯარში გაწვევის და ტერიტორიალური ნაწილების შედგენის დროს მოწყობილი იყო წითელი კუთხე ჟურნალ-გაზეთებით და ჩვენი სპეციალური კედლის გაზეთით.

ამ კედლის გაზეთის [გარშემო შემოკრებილია სამხედრო კორესპონდენტების კადრი, რომლებიც აგრეთვე აშუქებენ წითელ ჯარის ცხოვრებას ადგილობრივ აჭარისტანის ქართულ გაზეთში „ფუხარა“-ში და შ(?)დიან მუშკორთა ორგანიზაციაში.

სამხკორი ყუბელი.

## ცოტა რამ 1-ლ დივიზიის არტშკოლის შესახებ.

დიდი ხანი არ არის, რაც პირველ დივიზიის საარტილერიო სკოლამ დაიწყო მუშაობა.

ამ მუშაობას საფუძვლად უდევს ახლო მომავლისათვის მისცეს ქართულ არტილერიას ცოტათ თუ ბევრად ისეთი მომზადებული წითელი მოლაშქრეები, რომლებთაც შეეძლებათ, როგორც პოლიტიკურად, აგრეთვე სამხედრო საქმეშიც სხვა წითელ მოლაშქრეებზე უფრო მეტი წარმოდგენა ჰქონდეთ და ხელი შეუწყონ მათ ასეთსავე განვითარებას. კურსანტებთან მეცადინეობა პოლიტიკურსა და სამხედრო საქმეში სწარმოებს ყოველ დღე სისტემატიურად. მეთაურთა და პოლიტ შემადგენლობა ენერგიულათ მუშაობს. მაგრამ ამ საქმიანობაში აღსანიშნავია ის ტეხნიკური დაბრკოლებანი, რომელიც ხელს უშლის, როგორც პოლიტიკურს და კულტურულს, აგრეთვე სამხედრო ცოდნის შეძენასაც. ეს ტეხნიკური დაბრკოლება გამოიხატება სათანადო შენობის უქონლობაში; სკოლის ეხლანდელ შენობაში შეუძლებელია სამკითხველოს სათანადოთ მოწყობა, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კურსანტების სათანადო აღზრდა-განვითარებისათვის. საამისოდ კი სკოლას აქვს წიგნები და ყველა საჭირო მასალები.

საჭიროა, რომ ჩვენი სკოლის ხელმძღვანელები რაც შეიძლება მალე გამოგვიძებნიდენ სამკითხველოსათვის შესაფერ ბინას.

ჩხიკვიშვილი.

## მოგვეცით პოლიტსაათები.

პირველი დივიზიის შტაბში ვიმყოფებით რამოდენიმე წითელ-არმიელები; ჩვენ სულითა და გულით გვინდა ვესწრებოდეთ პოლიტ-საათებს, მაგრამ არავინ ყურადღებას არ გვაქცევს.

ნუ თუ ძნელი იქნება ვისაც ეს შეეხება, რომ ერთი საათი ჩვენც შამოგვწირონ და მოგვიწყონ პოლიტსაათები?

ჩვენ დაცილებული ვართ ჩვენი ნაწილებიდან. არ გვაქვს საშუალება იქ მივიღოთ სათანადო ცოდნა—განვითარება. თუ აქაც არ მოგვექცია ყურადღება, ისევ ისეთი უცოდინარები დაუბრუნდებით ჩვენ ოჯახებს, როგორც წამოვედით.

ჩვენთანაც ჩაატარეთ პოლიტსაათები.

წით. არმ. სამ. გაჩეჩილაძე.

## ამხ. ტროცკის უკანასკნელ წერილის გარშემო.

მოისმინა რა მოხსენება ამხ. კვირიკაძის ამხ. ტროცკის უკანასკნელ გამოსვლისა და ტროცკიზმის შესახებ, 1-ლ ქ. მ. დივიზიის და ქართულ სამხედრო სკოლის პარტ-მომუშავეების კრება აღიარებს, რომ ამხ. ტროცკიმ მიუხედავად თავის დაპირებისა პარტიის და მის მე-13 ყრილობის წინაშე კვლავ გამოვიდა უსაფუძვლო ბრალდებით ცეკას წინააღმდეგ; სურს მოახვიოს პარტიას ახალი დისკუსია ლენინიზმის საფუძვლების შერყევის სურვილით, მისი ტროცკიზმის შეცვლის მიზნით.

თუ ამხ. ტროცკი 1923 წლის დისკუსიაში გამოდიოდა პარტიის ძველი კადრის წინააღმდეგ და კურსი კი აღებული ქონდა პარტიის ახალგაზრდა თაობის მიმართ, რომელიც არას დროს არ ჩაითვლება პარტიის სულის კვეთების გამომხატველად. ამხ. ტროცკიმ მის უკანასკნელ გამოსვლაში მოინდომა პარტიის ოქტომბრის წინა პერიოდის უარყოფა და მის შემდეგ პერიოდზე კურსის აღება, რითაც მას სურს უმნიშვნელოთ გახადოს პარტიის გმირულ ბრძოლების მთელი ეპოქა, რომელშიაც ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით გამოიჭედა მტკიცე ბოლშევიკური—ლენინური პარტია.

ტროცკის ასეთი გამოსვლას პარტიამ უნდა უპასუხოს ლენინიზმის მტკიცე შესწავლით, მისი იდეების გაღრმავებით, რომელიც არის საუკეთესო თავდები ტროცკიზმის, როგორც მენშევიზმის ერთი მხარე გამოხატულებათაგანი, აღმოფხვრისა.

რეზოლიუცია მიღებულია ერთხმად.

# პარტიული ცხოვრება

## მეთაურთა სკოლის კომუჯრედში.

დეკემბრის შუა რიცხვებიდან იანვრის შუამდე პარტიული მუშაობის მიმდინარეობა ცოტა შეფერხდა, რადგანაც კურსანტების უმეტესი ნაწილი სოფლებში იქნენ გაშვებული მოკლე ვადიან შვებულებაში. ამხანაგების დაბრუნების შემდეგ ისევ გაჩაღდა მუშაობა. მოეწყო ლენინის კუთხეები. ლენინის კვირეულის ჩასატარებლად სრულიად ახალი სახე მიეცა წითელ კუთხეებს. ყაზარმებიც სადღესასწაულოდ იქნა მორთული. პარტიული დღე სისტემატიურად მიმდინარეობს.

18 იანვარს ჩატარებული იქნა ერთი ასეთი პარტიულ დღეთაგანი. შესდგა სკოლის ყველა ასეულების კომუჯრედთა გაერთიანებული კრება.

ლენინსა და ლენინიზმის შესახებ მოხსენება გააკეთა სკოლის კომისარმა ამხ. ჰკუასელმა, რომელმაც დაახასიათა ლენინის პიროვნება.

კრებამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია ილიჩის გარდაცვალების ერთი წლის თავის გმო.

შემდეგ სადგურში მომხდარ ჩვენს კურსანტებსა და ადგილობრივი ორგანიზაციის შორის ინცინდენტის შესახებ, შესაფერი განმარტებით გამოვიდა სკოლის უფროსი ამხ. ტალახაძე.

პარტკორი ნ.

## ჩვენი კედლის გაზეთები.

1-ლ დივიზიის ცენტრალურ კლუბში გაიხსნა ამავე დივიზიის ნაწილთა კედლის გაზეთების გამოფენა.

სამწუხაროდ, არ ვიცით რატომ და ამ გამოფენაში ყველა ნაწილები არ ღებულობენ მონაწილეობას.

აქ წარმოდგენილია: პირველ ლეგიონი, მეორე, (ეხლა მეექვსე) ტერიტორიალური ლეგიონი; სამხედრო პოლიტ-სკოლა; საარტილერიო დივიზიონი (ეხლა ლეგიონი) და ამავე დივიზიონის მესამე ბატარეია; ცენტრალური კლუბი; ცალკე მესანგრე ასეული და ცალკე საკავშირო ასეული.

საერთოდ, ჩვენს კედლის გაზეთებს გაუმჯობესება ეტყობათ, როგორც შინაარსის, მასალების დალაგების, ისე ნაწერისა და მხატვრობის მხრივ.

აქ აშკარავდება ყველა წრეების შეთანხმებული მუშაობა სარედაქციო კოლეგიებთან.

გაზეთებში მონაწილეობენ როგორც წითელ არმიელები, ისე მეთაურთა და პოლიტიკურთა შემადგენლობა.

პირველ ლეგიონის გაზეთი „ტალა“ (წარმოდგენილია №№ 6, 7, 12, 14) ყურადღებას იპყრობს თავისი სიდიდით და წერილების შინაარსით.

სამხედრო პოლიტსკოლის გაზეთი წითელი „კურსანტი“

## ლენინის კვირეული ჩვენს ასეულში.

15 იანვარს პირველი ლეგიონის მეორე ასეულის არმიელები შეიკრიბენ ლენინის კუთხეში, სადაც კუთხის გამგემ გააცნო მათ ლენინის ბიოგრაფია. გზადაგზა მომხსენებელი შეჩერდა პარტიის ისტორიაზედაც და კითხვა პასუხებით გარკვეული იქნა ყველა გაუგებარი საკითხები. არმიელები დიდი ყურადღებით შეხვდენ აღნიშნულ საუბრებს. განსაკუთრებით დიდი ინტერესით ისმენდენ მას ახალწვეულები. კვირეულის უფრო საფუძვლიანად ჩატარების მიზნით შევიძინეთ მრავალი წიგნები და სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთები. აღნიშნულ დღეს საუბრის ჩატარებაზე დაგვესწრენ აგრეთვე მესარაიკომის ახალგაზრდა კომკავშირელები, რამაც დიდი ხალისი შეიტანა ჩვენს მეცადინეობაში.

სამხკორი უფლისაშვილი.

### ხელოსანთა ყრილობა.

21 იანვარს ქუთაისში გაიხსნა თვითმშრომელ საზოგადოებათა ყრილობა. ყრილობას დაესწრო უზრუნველყოფის სახალხო კომისარი.

### წყალსადენი სოფ. დიდ თიონეთში.

სოფ. დიდ თიონეთში წყალსადენის გასაყვანათ ტფილისის ქალაქის აღმასკომმა გამოყო კომისია, რომელიც დაწვრილებით შეისწავლის ამ საკითხს.

### ბამბის დათესვა კახეთში.

მიმდინარე წლის განმავლობაში კახეთში დათესილ იქნება, თანახმად მიწ.-მოქ. კომისარიატის განზრახვისა 500 დესეტინა ბამბა.

### სკოლების მოვლა პატრონობა.

გორის ადგილობრივი მეურნ. განყოფილებამ გადასწყვიტა შეაკეთოს სკოლებში ყველა ლუმელები და ჩასვას ყველგან შუშები.

### ოზურგეთში.

ოზურგეთის აღმასკომმა დაუთმო შენობები ადგილობრივი თეატრის თანამშრომელ მსახიობებს ბინებათ.

## რებუსი № 1-ლის ახსნა.

„ლენინი მოკვდა ლენინიზმი ცოცხალია.„“

ახსნა შემდეგმა წითელ-არმიელებმა: 1 ლ. ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულიდან-ნიკოლოზ მინდელმა და ვალიკო ვეფხვაძემ. ცხენოსან ლეგიონიდან-ივანე სოსელიამ, 1 ლ ლეგ. ბატარეიდან კინწურაშვილმა და 1 ლ ქ. მ. ლეგიონიდან-ოდიშარიამ. თანახმად ჩვენი განცხადებისა გაზეთი გაეგზავნება ნიკოლოზ მინდელს, რომელმაც პირველად წარმოადგინა რებუსის ახსნა.

№№ 4, 5, 8, 9, 11).

საყურადღებოა თავისი სისადავით, თანაბარი ღირსებით და ორგინალური ფორმატით.

აქ აშკარად სჩანს ხელმძღვანელების ინტერესი და საქმისადმი სიყვარული.

ცალკე საკავშირო ასეულის გაზეთი: „წითელი დროშა.“ (№ 28) საჭიროებს გადახალისებას.

ჩვენ გვახსოვს ამ ასეულის კედლის გაზეთები, რომელთაგან ერთი ნომერისთვის გამოფენაზე იქნა გადაგზავნილი თავისი პირველობის გამო.

ცალკე მესანგრე ასეულის გაზეთი: „წითელი მესანგრე“. (№ 2) მოითხოვს მეტს მუშაობას, რომ თავის სიმაღლეზე დადგეს; საჭიროა მეტი დაკვირვება და უკეთეს ნომრების გამოშვება.

ცენტრალური კლუბის გაზეთი: „გუშაგი“ (№№ 5, 6.) სამწუხაროდ ვერ არის მაგალითის მიმცემი სხვა გაზეთებისათვის.

მეორე (მეექვსე) ტერიტორიალურ ლეგიონის გაზეთი „ხმა ტერ. ლეგიონერისა“ განსაკუთრებით მეორე ნომერი იქცევს ყურადღებას.

საარტილერიო დივიზიონის გაზეთი „პანორამა“ (№№ 23 24, 31) ყურადღებას იქცევს თავის შეუდარებელ მხატვრობით, რომელსაც ბადალი არ ჰყავს არა თუ ქართულში, არამედ რუსულ ნაწილებშიდაც.

განსაკუთრებით კარგია № 31, საოქტომბრო ნომერი.

სამწუხაროდ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოფენა არაა სრული, და შეუძლებელია დივიზიის მთლიანი შეფასება ამ ფრონტზე.

აქ აკლია მეთაურთა სკოლა, ცხენოსანი ლეგიონი, დილაზარეთი და სხვა ნაწილები.

ამის გარდა, დიდ ნაწილებში გამოდის აგრეთვე ასეულების და გუნდების გაზეთები, საბიბლიოთეკო გაზეთები, წრეების გაზეთები და თვიური ჟურნალები, რომლებსაც გამოფენაზე ვერ ვხედავთ.

გამოფენის მესვეურთა საყურადღებოთ უნდა აღინიშნოს ეს და ამ მოკლე ხანში აუცილებლად გამოსწორებული უნდა იქნეს ეს ნაკლი.

საჭიროა ყველა ნაწილების წითელ არმიელთა შემოქმედებათა გაცნობა.

სანი.

## უცხოეთის არმიებში

### იალქნებიანი ჰაეროპლანი.

ოქტომბერში სამეფო სამხედრო-საზღვაო და საჰაერო საზოგადოების ლონდონში მომხდარ სხდომაზე, გერმანელ პროფესორმა რორბახმა წაიკითხა ლექცია ლითონისაგან დამზადებულ გიდროპლანების შესახებ და მასთანავე ერთად საზოგადოების წევრებს მან აჩვენა მის მიერ გამოგონებულ ჰაეროპლანი, რომელსაც ადვილად შეუძლია წყალზე ცურვა იალქნების საშვალებით. ჰაეროპლანი ჩაუშვეს წყალში, ამართეს იალქნები და მან უმოტოროთ, მარტო იალქნების შემწეობით გაიარა საათში 4—5 საზღვაო კვანძამდე.

ამ ჭკუა მახვილი გამოგონებას მნიშვნელობა მეტად დიდია, რადგანაც მოტორის გაფუჭების შემთხვევებში გიდროპლანს ყოველთვის ადვილად შეუძლია მისვლა თავის ანგარაში იალქნების შემწეობით.

რორბახის ჰაეროპლანი ერთი საინტერესო მიღწევათ უნდა ჩაითვალოს თანამედროვე სამხედრო ტეხნიკაში. ორი მოტორით, რომლებიც მოთავსებულია ჰაეროპლანზე, ჰაეროპლანი ანვითარებს საათში 120 მილის სიჩქარეს, ხოლო წყალში კი 68 მილს.

პროფ. რორბახი გერმანელი ინჟენერია. მან ააგო დურალიუმინისაგან დამზადებული ცეპელინი—სტააკე. აპარატი ძლიერ კარგი გამოდგა, მაგრამ მოკავშირეების მოთხოვნით ვერსალის ხელშეკრულების დროს დაარღვიეს·

ამის შემდეგ რორბახი გაემგზავრა დანიაში, სადაც მზადდებოდა მისი კონსტრუქციის აპარატები.

### მფრინავი ნავი.

ახალი, ამერიკული მფრინავი ნავი აგებული იქნა დედამიწის ირგვლის ფრენით შემოვლის მიზნით.

პირველი სამხედრო მიზნით მომხდარ გადაფრენისაგან ეს გადაფრენა მით განირჩევა, რომ მას აწყობს არა სახელმწიფო, არამედ კერძო საჰაერო საზოგადოებები, რომელიც ამავე დროს იქნება დედამიწის ირგვლივ ფრენით შამოვლის პირველი ცდა

## ახალი ამბები.

— **შენობათა დაზღვევა.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა შეადგინოს სია იმ შენობებისა, რომლებიც უნდა იქნან დაზღვეულნი.

— **ზაჰესის დასათვალიერებლათ.** ზემო ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა დასათვალიერებლათ მოსკოვიდან ჩამოსული კომისია გუშინ გაემგზავრა ზემო ავჭალაში.

— **უვარგისი ხიზალალა.** ქიმიური ლაბორატორიის ცნობით ქალაქში უკანასკნელათ ძლიერ გახშირდა უვარგისი ხიზალალას გამოტანა ბაზარზედ. ქალ. აღმასკომმა გადასწყვიტა მოსპოს ბაზარზედ ასეთი ხიზალალა.

— **საბჭოთა არჩევნები აფხაზეთში.** აფხაზეთში უკვე მოეწყო ცენტრ. საარჩევნო კომისია, მაზრებში კი არჩეულია საარჩევნო სამეულები.

— **შრომის ბირჟის შტატები.** შრომის ბირჟის აღმასკომის განკარგულებაში გადასვლის გამო აღმასკომმა დაადგინა გადაშინჯოს შრომის ბირჟის შტატები.

— **ტყის საკაფავი კომისიები.** მიწად-მოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილება აარსებს ტყის კაფვის ჯგუფებს, რომლებიც შეუდგებიან ტყის გეგმიან კაფვას.

— **მოძრავი საექიმო რაზმები.** 1923 წლის განმავლობაში ჯანსახკომს დაუხარჯავს მოძრავი საექიმო რაზმებისათვის 3. 453 მან.

— **საშემოსავლო გადასახადი.** 20 იანვრიდან ტფილისში უკვე დაიწყო საშემოსავლო (საკლასო) გადასახადის მოკრეფა.

— **დასასვენებელი სახლები პროვინციელთათვის.** ტფ. დამზღვევმა კასამ გადასწყვიტა 1925 წლის განმავლობაში პროვინციელ ავათმყოფებს დაუთმოს დასასვენებელი სახლებში ადგილები.

## ხელოვნება.

— **წითელ-არმიელთა კლუბში.** დღეს, საღამოს 7 საათზე გაიმართება ლენინის ხსოვნის საღამო. დადგმულ იქნება პიესები ქართულ-რუსულ ენაზედ.

## მგლები ჰაეროდრომზე.

გუშინ წინ სოფლიდან ტფილისში ურმით მოდიოდა გლეხი. ღამის გასათევათ გლეხი შეჩერდა ტფილისის ჰაეროდრომთან. ღამით ურემს დაესხნენ მგლები და მოინდომეს მოლოდ რაჯე ძაღლის გაგლეჯა. ძაღლის ყვირილზე გამოვარდა გლეხი, მაგრამ მგლები მასაც ეტაკენ და მოაჭამეს ცალი ხელი. გლეხის ვინაობა ცნობის მიღებისას გამოურკვეველი იყო.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

## ამბები სოფლებიდან.

### სარაიონო მილიციის მაგიერ.

შორაპნის აღმასკომმა გადასწყვიტა გააუქმოს კორბოულის და ამაშუკეთის რაიმილიციის სამმართველოები და მათ მაგიერ მოაწყოს სათემო მილიციები.

## შინაური ცხოველებისა და კაცის გადამდები ავადმყოფობანი.

### ცოფი.

ვის არ გაუგონია ცოფი და ვის არ დასცემია შიშის ზარი, როდესაც მიმავალი ცოფიანი ძაღლი ქუჩაში დაუნახავს?!

გრძელი ისტორია აქვს ამ ავადმყოფობას, მას უძველეს მწერლობაში პირველი იხსენიებს საბერძნეთის ფილოსოფოსი არისტოტელი, რომელიც ქრისტეს დაბადებამდის მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა და ამბობს, რომ „ძაღლები ცოფითა ხდებიან ავადო“-.

ადამიანის ცოფით ავადგახდომის შესახებ პირველად ჩვენ ვხვდებით პირველ საუკუნეში, ქრისტეს დაბადების შემდეგ, კორნელი ცელსის ნაწერებში, რომელიც ამ ავადმყოფობას „ლიდროფობიას“ უწოდებს.

საშუალო საუკუნის ლიტერატურა ცოფის შესახებ არავითარ ცნობებს არ იძლევა.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ცოფი განსაკუთრებული მრისხანებით მძვინვარებდა საფრანგეთის დედა ქალაქ პარიზში, ამავე საუკუნის დამლევში—კი მთელს იტალიაში.

მეთვრამეტე საუკუნის დამლევს თითქმის მთელს ევროპას მოედვა ცოფი და აუარებელი რიცხვი ცხოველებისა, ისე ადამიანებისა იმსხვერპლა დიდი ჯილდო იყო გამოცხადებული იმ მეცნიერისათვის, ვინც ამ ავადმყოფობის საწინააღმდეგო საშუალებას გამოიგონებდა, მაგრამ მიუხედავათ ასეთი დაპირებისა და მრავალ მეცნიერთა დაუღალავი შრომისა, არავითარი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ცოფის საწინააღმდეგო საშუალება ამ ხანაში გამოგონილი არა ყოფილა. ეს გამოგონება, რომელიც დაკბენილი ცხოველის თუ ადამიანის ტანში ცოფის ხელოვნურად დასუსტებული შხამის შეშხაპუნებაში ანუ აცრაში მდგომარეობს, 1884 წელში ბედმა დიდ მეცნიერს, უკვდავ პასტერს არგუნა. მაგრამ თუ პასტერის მიერ გამოგონილი ცოფის საწინააღმდეგო აცრა, შველა და ხსნა აღმოჩნდა კაცობრიობისათვის, მისი პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარება ცხოველებზე მოუხერხებელი გამოდგა და ამ მხრივ ეს უკანასკნელები დღემდის ისევ იმ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორშიდაც იმყოფებოდენ ისინი პასტერამდის.

ცოფი გადამდები ავადმყოფობაა და დაკბენის საშვალებით შეიძლება ყველა შინაურ და გარეულ ცხოველს და აგრეთვე ადამიანს დაემართოს. იგი მოურჩენელი ავადმყოფობაა—როდესაც ცხოველი ავადგახდომას მოასწრებს—და ამიტომ მის ასაცდენათ დიდი სიფრთხილეა საჭირო, როგორც დაკბენამდის, ისე დაკბენის შემდეგ.

თუმცა მეცნიერებმა დღემდის ვერ აღმოაჩინეს ცოფის გამომწვევი მიკრობი, მაგრამ ის-კი დანამდვილებით გამოიკვლიეს, რომ ცოფი ნერვებისა და განსაკუთრებით ხერხემლის და თავის ტვინის ავადმყოფობაა და მისი გამომწვევი მიზეზი, ჯერ კიდევ აღმოუჩენელი მიკრობი, იმყოფება სხეულის ყველა ჯირკვლებისაგან გამომავალ სითხეებში: ნერწყვში, რძეში და სხვაში.

როდესაც ცოფიანი ცხოველი ჯანმრთელ ცხოველსა ჰკბენს, პირველი მეორეს თავისი ნერწყვის საშუალებით ცოფს უნერგავს(?), დაკბენილი ცხოველი თუ ადამიანი რამოდენიმე ხნის შემდეგ თვითონაც ცოფიანდება და დიდი ტანჯვის შემდეგ სიცოცხლეს ესალმება. დაკბენილი ადგილის ჭრილობა, თუ იგი დიდი არ არის, მალე ურჩება ცხოველს და ეს უკანასკნელი ცოფის ნიშნების გამოჩენამდის თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობს.

შემჩნეულია, რომ დაკბენილი ცხოველებიდან და ადამიანებიდან ავად ხდებიან მხოლოდ ხუთიდან ათ პროცენტამდის, რაც აიხსნება იმ მოვლენით, რომ კბენის დროს ხშირად ცოფის შხამი ჭრილობაში ვერ ჩადის. იგი ან ბალანზე რჩება, ან ტანისამოსზე და ან ნაკბენიდან გამოსულ სისხლთან ერთად გარედ გამოდის, ნერვებამდის ვერ აღწევს და ცხოველის ავადგახდომას ველარ იწვევს.

თუ ზევით ნაჩვენებმა მიზეზებმა ხელი არ შეუშალეს და ცხოველს ცოფის შხამი ტანში შეუვიდა, იმ შემთხვევაში, ავადგახდომის ნიშნები გამოაჩნდება მას შემდეგი წესით: რქოსან საქონელს და ცხენს 4 8 რაში, ძაღლს—2—6 კვირაში, კატას—2—4 კვირაში, ღორს—2—3 კვირაში, ცხვარს და თხას—3—4 კვირაში, ფრინველებს—6 კვირაში და ადამიანს—9 კვირაში.

რაც უფრო თავთან ახლოს იქნება დაკბენილი ცხოველი თუ ადამიანი, მით უფრო საშიში იქნება მისი მდგომარეობა. ასეთივე საშიში იქნება ის შემთხვევაც, როდესაც ცხოველი დაკბენილია ცოფიანი მგლისაგან.

ცოფისაგან მკვდარი ცხოველის ლეშს, მიუხედავათ მისი გახრწნა დალპობისა, შეუძლია ცოფის გამავრცელებელი იყოს 14 40 დღის განმავლობაში და ამიტომ საჭიროა ასეთი ლეში ყოველთვის ღრმად, სიმაღლით არა ნაკლებ სამი არშინისა, მიწაში ჩავფლათ.

გალტიერმა, პაულპერტმა და სხვა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ცოფიანი ცხოველის არც სისხლში, არც ლიმფატიურ ჯირკვლებში, არც თვით ლიმფაში და არც ხორცში ცოფის გამომწვევი შხამი არ არსებობს.

მეცნიერ ნოკარდის გამოკვლევით ცოფიანი ხორცი რომ შევაჭამოთ ჯანმრთელ ცხოველს, უკანასკნელი ცოფით ავად არ გახდება.

ამავე მეცნიერმა 12 ცოფიანი ძაღლის ტვინი შეაჭამა ორი თვის განმავლობაში ერთ მგელს, მაგრამ მგელი მაინც არ გაცოფიანდა. კუჭის წვენი ცოფის შხამს ანელებს და ცხოველი ყოველთვის უვნებლად რჩება.

ვეტ-ექიმი ფარეიშვილი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1200.